



კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება-095/17

1. ფაქტები

ნ.ბ. მოთავსებული იყო პენიტენციურ დაწესებულებაში და სისხლის სამართლის საქმეზე მისი ინტერესების დაცვას ახორციელებდნენ ოჯახის წევრების მიერ მიწვეული ადვოკატები. ნ.ბ.-სთან პენიტენციურ დაწესებულებაში შევიდა ადვოკატი ნ.გ., რომელიც იყო ნ. ბ.-ს პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე. ეს გარემოება საჩივრის ავტორისთვის ამ ვიზიტისას გახდა ცნობილი. ვიზიტამდე ნ.ბ. ან მისი ოჯახის წევრები ნ.გ.სთან საადვოკატო მომსახურეობის განხორციელებაზე არ შეთანხმებულან.

2. პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა საპატიმრო დაწესებულებაში მყოფმა ნ.ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ.გ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინურმა კოლეგიამ არ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ.გ.-ს მიმართ.

3. სამართლებრივი ანალიზი

შეეძლო თუ არა ადვოკატ ნ.გ.-ს გამოეწერა ორდერი მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის, ნ.ბ.სთან შესახვედრად? „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლი (კოლეგების პატივისცემის ვალდებულება); „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი (მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის გავლით დაკავშირების ვალდებულება).

მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდებოდა ის გარემოება რომ საჩივრის ავტორისა და ადვოკატ ნ.გ.-ს პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრის დროს, საჩივრის ავტორს ჰყავდა ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე და ამის თაობაზე ინფორმირებული იყო ნ.გ. თუ არა. საჩივრის ავტორი მისივე განცხადებაში ადასტურებდა, რომ ადვოკატ ნ.გ.სა და მის შორის რაიმე საკითხზე საუბარი არ ყოფილა. არ დასტურდებოდა ის გარემოებაც, რომ ადვოკატმა ნ.გ.-მ საადვოკატო მომსახურეობა გაუწია ნ.ბ.ს ან რაიმე ფორმით ზემოქმედება განახორციელა მასზე რაიმე ინფორმაციის მიღების მიზნით. ადვოკატ ნ.გ.-ს შეეძლო გამოეწერა ორდერი მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარესთან შესახვედრად.

საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება ნ.გ.-ს მიერ ეთიკური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა და არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე და ადვოკატ ნ.გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა. ადვოკატ ნ.გ.-ს წინააღმდეგ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

ეთიკის კომისიის პირველი კოლეგიის წევრის ანა ლორიას განსხვავებული აზრი:

ადვოკატ ნ.გ.-ის მიმართ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 6) და პროფესიული ეთიკის კოდექსი (მუხლი 5) მიგვითითებს ადვოკატის ვალდებულებაზე რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ ის საშუალებები, რომელიც არ არის აკრძალული არც კანონმდებლობით არც პროფესიული ეთიკის ნორმებით. უდავოა რომ ნ.გ.-მ ორდერი გამოეწერა ნ.ბ.-ის სახელზე, მაშინ, როდესაც ნ.ბ. მისი კლიენტი არ ყოფილა. აღნიშნული თავისთავად ადასტურებს



კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

იმ გარემოებას, რომ ორდერი გამოიწერა „ფორმალურად“. ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა მისი მოწინააღმდეგე მხარის სახელზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ ადვოკატი შესულიყო პენიტენციურ დაწესებულებაში და გაეგო საჩივრის ავტორის მოსაზრება სამოქალაქო დავაში მორიგების საკითხთან დაკავშირებით არ აბათილებს კანონის მოთხოვნას რომ ორდერი გამოიწეროს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

ორდერის გამოწერისა და კანონიერი საშუალებების გამოყენების ურთიერთკავშირს კანონი პირდაპირ არეგულირებს იმ ნორმებში, სადაც ორდერის სამართლებრივ ბუნებაზე მიგვითითებს. კერძოდ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი განმარტავს, რომ ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინიჭებულ უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს. კლიენტს კი წარმოადგენს ის პირი, რომელმაც ადვოკატს სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს-ნ.ბ.ს არ მიუმატავს ნ.გ.-სთვის სამართლებრივი დახმარებისთვის და ნ.გ. ვერც ივარაუდებდა ნ.ბ.-ს თანხმობას მის წარმომადგენლობაზე, რადგან მისთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ საჩივრის ავტორი მისი მარწმუნებლის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. ადვოკატ ნ.გ.ს არ შეეძლო გამოეწერა მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგესთან შესახვედრად.

არსებობდა თუ არა ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატ ნ.გ.ს მიერ ორდერის ნ. ბ.ს სახელზე გამოწერისას?

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის რეალური საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

ადვოკატმა უნდა განსაზღვროს, როდის არის შესაძლებელი, რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ხედავს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი მის კლიენტებს შორის ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას შეწყვიტოს პროფესიული ურთიერთობა ორივე კლიენტთან.

ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერისას არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი და მას უნდა შეეწყვიტა ორივე კლიენტთან წარმომადგენლობა.

ადვოკატ ნ.გ.-ის მიმართ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი და საქმე არსებითად განსახილველად უნდა გადაცემოდა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიას.